

გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №13

ქ. გარდაზანი

13 ნოემბერი 2024 წელი 13:00 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა

გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი:

სამირ ხიალოვი
სახმან მირზოევი
რასიმი ისაევი
ბეთქილ კახიანი
გიორგი გურულიშვილი
ტარიელ ჯანხოთელი
დავითი ებილაშვილი
ანი მანჩხაშვილი
თორნიკე ქავთარაძე
ზურაბი ბენდელიანი
თამარი ხაჩიძე
მირზა მირზოევი
ფლორა ასკაროვა
ლევან ნიჟარაძე
მაია შამედოვა

ლაშა ქართლოსიშვილი
შახადატ მეხრალიევი
ლია მეტრეველი
კამრან ბაბაევი
ლევანი ბეგლარიშვილი
გუსეინკულუ მუსაევი
აბდულალი იბრაგიმოვი
ზურაბი კორახაშვილი
ლალი კახურაშვილი
ნათია ბარათელი
ზაბიტ მამედოვი
ეველინა ჩოხელი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელის მოადგილე - ნაია დათუაშვილი;

გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი-შალვა გურულიშვილი;

დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: შალვა გურულიშვილი
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 28
წინააღმდეგი – 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა-შალვა გურულიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**, მანვე განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების მუხლი შემცირდა - 150,000 ლარით;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესადაა დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის მომსახურებისთვის განკუთვნილი თანხა შემცირდა - 50,000 ლარით;

2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა 562,800 ლარით, კერძოდ:

- სოფელ გამარჯვებაში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციისთვის მიმდინარე წელს გათვალისწინებული თანხიდან ამოღებული იქნეს 199,600 ლარით და პროექტის განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსება განისაზღვროს შემდეგნაირად: 2024 წელს - 49,900 ლარი, 2025 წელს - 199,600 ლარი.
- სოფელ მარტყოფში სააკადის ძეგლის მიმდებარედ სკვერის მოწყობისთვის მიმდინარე წელს გათვალისწინებული თანხიდან ამოღებული იქნეს 363,200 ლარი და პროექტის განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსება განისაზღვროს შემდეგნაირად: 2024 წელს - 90,800 ლარი, 2025 წელს - 363,200 ლარი.

შემცირდა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხები, კერძოდ:

- ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა - 4,900 ლარით;
- სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა - 2,300 ლარით;

შემცირდა სოციალური პროგრამების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხები შემდეგი პროგრამებისთვის:

- მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა - 3,000 ლარით;
- დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა - 7,000 ლარით;
- ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა - 14,000 ლარით;
- უხუცეს პირთა სოციალური დაცვის პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა - 3,000 ლარით;
- სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა - 5,000 ლარით;
- მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა - 18,000 ლარით;
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა - 26,000 ლარით;
- ბავშვთა პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა - 9,500 ლარით;
- უფროსი ასაკის პირთა სოციალური დაცვის პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა - 8,500 ლარით;
- სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებულ პირთა/დევენილთა ოჯახების დახმარების პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა - 9,000 ლარით;
- სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვების პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა შემცირდა - 10,000 ლარით;

სულ 883,000 ლარი გადანაწილდა შემდეგნაირად:

- საახალწლო ნაძვის ხეების მონტაჟის და დემონტაჟისთვის - 140,000 ლარი;
- საახალწლო მორთულობებისთვის - 60,000 ლარი;
- წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოებისთვის - 15,000 ლარი;
- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - 7,200 ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა - 167,500 ლარი;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა - 30,000 ლარი;
- დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა - 3,000 ლარი;
- სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა - 35,000 ლარი;
- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვის პროგრამა - 3,500 ლარი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა - 94,000 ლარი;

- ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა - 327,800 ლარი;

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა დადგენილებას - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24

წინააღმდეგი – 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 4

მიღებულია დადგენილება №28 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ბენდელიანმა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრს - ნათია ბარათელს მიმართა კითხვით, თუ რატომ არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში 6 თვის მანძილზე? ჰქონდა თუ არა მას რაიმე საპატიო მიზეზი? ვინაიდან საპატიო მიზეზის არქონის შემთხვევაში კომისია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაიწყებდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის პროცედურებს. ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ნათია ბარათელმა თავი შეიკავა მიზეზის დასახელებისაგან.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



მიხეილ გედეხაური